ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №2565742

ნომერი: AR1398962

თარიღი : 21.04.2016

გაცემის თარიღი : 28.04.2016

გაცნობის თარიღი : 28.04.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის V მ/რ-ის ჩრდილოეთით / ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ფერდობი , V მ/რ -ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე კოღუა პ/ნ 39001000367
- ვაჟა ფშაველა მე-2 კვარტალი მე- ბინა 67 მე19 კორპუსი

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1398962 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: #01.14.01.001.120) ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
თქვენი 15/02/2016 წლის AR1378478 განცხადების საფუძველზე საკითხი ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის V მიკრორაიონის ჩრდილოეთით, ნუცუბიძის ფერდობი, V მიკრორაიონის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: #01.14.01.001.120) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდასა და მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემაზე განხილულ იქნა "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 2016 წლის 7 აპრილის #17 სხდომაზე, რომლის დასკვნის საფუძველზე საკითხს მიეცა უარყოფითი შეფასება, სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით. კერძოდ, წარმოსადგენია სრულყოფილი დასაბუთება (ქალაქგეგმარებითი დასაბუთება) (იხ. დანართი), რომელიც არ გულისხმობს ქალაქგეგმარებით დასკვნას.
აქვე განგიმარტავთ, რომ ვინაიდან ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდასთან დაკავშირებით საკითხს განიხილავს "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს", არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. საჭიროა ელექტრონული განცხადება ატვირთოთ ჩვენი სამსახურის ვებგვერდზე http://tas.ge/–ზე შესაბამის ნომენკლატურაში. კერძოდ: „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები" შემდეგ „ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა" და შეავსოთ შესაბამისი ველები. ამასთან საჭიროა დამატებით საბჭოს წევრთა რეკომენდაციების გათვალისწინებით წარმოადგინოთ სრულყოფილი ქალაქგეგმარებითი დასაბუთება.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.